მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ქ. თბილისი 12.11.2012 წელი

მე, **კახაბერ გიუნაშვილი** (დაბადებული 15.11.1968 წ. **საქართველო,** ამერიკის შეერთებული შტატები პასპორტის ნომერი 425873471, მცხოვრები: ქ. თბილისი, ყაზბეგის 34 ა, სადარბაზო 1, ბინა 3) „შემდგომში–„მარწმუნებელი"

მარინა გვენეტაძეს (დაბადებული 30.01.1964წ. **თერჯოლა,** პირადი №41001023806) „შემდგომში–„რწმუნებული", მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

რწმუნებული უფლებამოსილია წარმოადგინოს ჩემი ინტერესები ქ. თბილისის მერიაში, გამგეობაში, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურში პროექტის კორექტირებასთან დაკავშირებით ჩემს კუთვნილ უძრავ ქონებაზე. ამასთან დაკავშირებით წარმოადგინოს ჩემი ინტერესები შესაბამის ორგანიზაცია დაწესებულებებში ასევე იუსტიციის სახლის ნებისმიერ სამსახურში. **აიღოს/შეიტანოს ჩემი სახელით ნებისმიერი საბუთი (დოკუმენტი).** რისთვისაც უფლებას ვაძლევ მოაწეროს ხელი ყველა საჭირო დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალებასთან. მინდობილობა გაცემულია **ორი წლის ვადით**(გასხვისების გარეშე).

კახაბერ გიუნაშვილი

ე, ლელა გაზდელიანს, ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, გალაკტიონის ქ. №7, მომმართა **კახაბერ გიუნაშვილმა.** მ წარმოადგინა 12.11.2012 წლის მინდობილობა და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **კახაბერ გიუნაშვილმა** (დაბადებული 15.11.1968 წ. საქართველო, ამერიკის შეერთებული შტატები პასპორტის ნომერი 425873471, მისი განცხადებით მცხოვრები: ქ. თბილისი, ყაზბეგის 34 ა, სადარბაზო 1, ბინა 3) **მომმართა.** მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. მან განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური 2.00 ლარი და 2.00 ლარი. (სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის ნოტარიუსის საზღაურის შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების 29 დეკემბერი, 2011 წ. №507, მუხლი 31.7 და 39). აგრეთვე დღგ 0.36 ლარი. (თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსისა).

ნოტარიუსი ლელა გაზდელიანი: .....

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N121223096
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	12.11.2012 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ლელა გაზდელიანი
სანოტარო ბიუროს მისამართი	გალაკტიონის 7
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2935789
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	63421166532112

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18